

საქართველოს კანონი
„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“
შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის
თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №19, 1.07.2003, მუხ. 126) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის, მონიტორინგის და ტყეთმოსწიფობის ფარგლებში საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სატყეო სააგენტოს (შემდგომში სატყეო სააგენტო) და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცული ტერიტორიების სააგენტოს (შემდგომში დაცული ტერიტორიების სააგენტო), მიერ მიწოდებულ მონაცემებს;“

2. 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 27. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს გარემოს დაცვის ინსპექცია, სატყეო სააგენტო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი